

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №642

2025 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

„ფარმაცოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №335 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ფარმაცოლოგიურ საშუალებათა კლინიკური კვლევის, ფარმაცევტული წარმოების, ავტორიზებული აფთიაქის, სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ სამკურნალო საშუალებათა იმპორტის ან ექსპორტის ნებართვების გაცემის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 16 ივლისის №335 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/07/2019, 470200000.10.003.021353) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებას 6³ მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6⁴ მუხლი:

„მუხლი 6⁴

1. სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფარმაცევტული პროდუქტის საბითუმო რეალიზაციის განმახორციელებელი იურიდიული პირი, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფოს ან სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული/სახელმწიფოს მართვაში მყოფი იურიდიული პირის მიერ, რომელიც, ამავდროულად, სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ახორციელებს მეორე და მესამე ჯგუფს მიკუთვნებული ფარმაცევტული პროდუქტის მიწოდებას ბენეფიციარებზე, 2029 წლის 1 იანვრამდე თავისუფლდება საქართველოს ნაციონალური GDP-ის (კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკის) სერტიფიკატის აღების ვალდებულებისგან.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული იურიდიული პირი ვალდებულია, საქართველოს ნაციონალური GDP-ის (კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკის) სერტიფიკატის აღებამდე უზრუნველყოს ფარმაცევტული პროდუქტ(ებ)ის მიმოქცევა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის 31 დეკემბრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი კობახიძე

